

## ანდრია ბალანჩივაძე

ანდრია ბალანჩივაძე დაიბადა 1906 წლის 14 ივნისს ქ. პეტერბურგში. ათი წლის ასაკიდან მუსიკალური ნიჭის გასანვითარებლად, მამამ, ცნობილმა კომპოზიტორმა, მელიტონ ბალანჩივაძემ სათანადო პირობები შეუქმნა.

1921 წლიდან სწავლობდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ორ ფაკულტეტზე კომპოზიციის განხრით, პროფესორ ნ. ჩერეპნინისა და მეორე კურსიდან მ. მ. იპოლიტოვ—ივანოვის კლასში.

1926 წელს კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ, მუშაობა დაიწყო თბილისის მუშათა თეატრებში სპექტაკლების მუსიკალურ გამფორმებლად.

1927 წელს, ცოდნის ამალღების მიზნით, გაემგზავრა ლენინგრადში ნ. რიმსკი-კორსაკოვის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიაში სასწავლებლად, სადაც საკომპოზიტორო ფაკულტეტზე პროფესორ ა. ჟიტუმორსკის ხელმძღვანელობით სწავლობდა. ამ პერიოდში მას უკვე დაწერილი ჰქონდა მთელი რიგი მუსიკალური ნაწარმოებები: „საცეკვაო სუიტა“, „ნოქტიურნი“, ექვსი პრელუდია ფორტეპიანოსთვის, საკონცერტო ვალსი ორკესტრისთვის და სხვა.

1931 წელს დამთავრა ლენინგრადის კონსერვატორია. მისი სადიპლომო ნამუშევარი - სექტეტი სიმებიანი კვარტეტისთვის, ჰობოისა და ქნარისთვის, რამდენჯერმე შესრულდა ლენინგრადის კონსერვატორიაში სტუდენტთა საღამოებზე და აღმოსავლეთის ხალხთა კულტურის სახლში.

1936 წელს დაბრუნდა თბილისში და ჩაება შემოქმედებით, პედაგოგიურ და მუსიკალურ-საზოგადოებრივ საქმიანობაში. ამავე წელს დაწერა პირველი ქართული ბალეტი - „მთების გული“, რომელიც ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სცენაზე პირველად „მზეჭაბუკის“ სახელწოდებით დაიდგა.

1937 წლიდან პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ვ. სარაჯიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში.

1944-64 წლებში იყო თეორიულ საკომპოზიციო ფაკულტეტის დეკანი, ხოლო შემდგომ კომპოზიციის კათედრის გამგე, 1968-73 წლებში საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობას თავმჯდომარე.

ა. ბალანჩივაძეს ეკუთვნის ბალეტები: „თანამედროვე თემაზე“ და „სიცოცხლე“, რომელიც დაიდგა 1951 წელს მოსკოვის დიდ თეატრში და თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში. „ცხოვრების ფურცლები“ და „მწირო“. იგი ავტორია აგრეთვე ოპერების: „არსენა“ (დაუმთავრებელი), „კრწანისის ბრძოლა“ (1944 წ.), „მზი“ (1950 წ.) და „ოქროს ქორწილი“ (1970 წ.), რომელიც პირველად დაიდგა ლენინგრადისა (1938 წ.) და თბილისის (1940 წ.) ოპერისა და ბალეტის თეატრებში.

ა. ბალანჩივაძე ავტორია ხუთი საფორტეპიანო კონცერტის და ხუთი სიმფონიის, სიმფონიური სურათების: „რინის ტბა“, „კრწანისის ბრძოლა“, „ზღვა“, ელეგიური პოემის „ობელისკები“, სიმფონიური პოემისა „დნეპრი“, სონეტა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსთვის, საფორტეპიანო კვინტეტის - „პორტრეტები“. საფორტეპიანო პიესებიდან აღსანიშნავია: „ხორუმი“, „ბალადა“, „ნოქტიურნი“, „სამაია“, „სალამო“.

ა. ბალანჩივაძემ მუსიკალურად გააფორმა მრავალი სპექტაკლი, რუსთაველის თეატრში: ა. რჟევსკის, მ. კაცის „ოლეკო დუნდიჩი“, ს. შანშიაშვილის „კრწანისის გმირები“, უ. შექსპირის „მეფე ლირი“, გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯი“, ე. როსტანის „სირანო დე ბერჯერაკი“, მარჯანიშვილის თეატრში: „არსენას ლექსი“, ი. ოლეშას „სამი ბლენდი“, ი. მიკიტენკოს „ანათეთ ვარსკვლავებო“, ე. რაისის „ჩვენ ხალხი“, ა. კორნეიჩუკის „ესკადრილის დაღუპვა“, ა. აფინოგენოვის „შორეული“, უ. შექსპირის „ანტონიუსი და კლეოპატრა“. ასევე დაწერილი აქვს მუსიკა კინოფილმებისთვის: „არშაულა“, „გვიორგი სააკაძე“, „ფიცი“, „დავით გურამიშვილი“, „დაკარგული სამოთხე“, „მამლუქი“, „მოუხელთებელი იანი“ და სხვა.

საზღვარგარეთ შესრულებული ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია: პირველი სიმფონია ბულგარეთსა (1948 წ.) და ბრნოში (1958 წ. ჩეხოსლოვაკია), მეორე სიმფონია იენასა (1969 წ. გდრ) და პოლონეთის ქალაქებში ლოდსა (1972 წ.) და კრაკოვში (1974 წ.), მეორე საფორტეპიანო კონცერტი ავტორის შესრულებითა და დირიჟორობით იენასა (1969 წ.) და უნგრეთში (1971 წ.), რომანტიკული ციკლი ფორტეპიანოსთვის დიუსელდორფში, შტუტგარდში, კიოლნში (1975 წ. გფრ.) და ლონდონში (1978 წ.), საფორტეპიანო პიესები ავტორის შესრულებით სან-ფრანცისკოში (1979 წ. აშშ.).

1941 წ. მიენიჭა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, 1957 წ. საქართველოს სახალხო არტისტის, ხოლო 1968 წ. სსრკ სახალხო არტისტის წოდებები. 1946 წ. პირველი სიმფონიისთვის, 1947 წ. კი მეორე საფორტეპიანო კონცერტისთვის დაჯილდოვდა სსრკ სახელმწიფო, ხოლო 1969 წ. მეოთხე საფორტეპიანო კონცერტისთვის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიებით.

1981 წელს აირჩიეს თბილისის საპატიო მოქალაქედ.

1991 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ჩგამოყენებული ლიტერატურა: თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახ. მუზეუმის ხელნაწერთა და საარქივო დოკუმენტთა ფონდი. ს. გერსამია — „ანდრია ბალანჩივაძე“. ფ. 1 საქ. 1152.

## ანდრია ბალანჩივაძის პირადი საარქივო ფონდი

### ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა.

1. ანდრია ბალანჩივაძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.  
1939 წ. ხელით შევსებული. რუსულ ენაზე. 8 გვ.
2. ამონაწერი ბრძანებიდან ანდრია ბალანჩივაძის კომპოზიტორთა კავშირის მდივნის თანამდებობაზე დროებით დანიშვნის შესახებ.  
ხელს აწერს: კავშირის თავმჯდომარე — გოკიელი, საქმეთა მმართველი — (გვარი არ იკითხება).  
1939 წ. 18 მარტი. ნაბეჭდი. 1 გვ.
3. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ბრძანება სახ. ფილარმონიისადმი, სიმფონიური ორკესტრის ორგანიზებასა და ა. ბალანჩივაძის სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელად დანიშვნის შესახებ.  
1941 წ. 22 დეკემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
4. ბრძანება კომპოზიტორ ანდრია ბალანჩივაძის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.  
1944 წ. 20 ნოემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
5. ბრძანება ანდრია ბალანჩივაძის საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელად დანიშვნის შესახებ.  
ხელს აწერს: ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი — რ. შადური.  
1945 წ. 17 ნოემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
6. ანდრია ბალანჩივაძის შემოქმედებითი ბიოგრაფია.  
1946 წ. ნოემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
7. ამონაწერი კომპოზიტორთა კავშირის სხდომის ოქმიდან, სიმფონია № 2 — ისა და საფორტეპიანო კონცერტ №3 — ის ლენინურ პრემიაზე წარდგენასთან დაკავშირებით.  
სხდომის წევრები: ა. ბალანჩივაძე, ა. მაჭავარიანი, ო. თაქთაქიშვილი, ა. შავერზაშვილი, ა. ბუკია, ს. ცინცაძე და ლ. კაკაბაძე.  
1960 წ. 23 სექტემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
8. ანდრია ბალანჩივაძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.  
უთარილო. ავტოგრაფი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 8 გვ.
9. ანდრია ბალანჩივაძის ავტობიოგრაფია.  
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
10. ანდრია ბალანჩივაძის დახასიათება გაცემული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის — ვ. გოგუას მიერ.  
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
11. ანდრია ბალანჩივაძის დახასიათება გაცემული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის — ო. ეგაძის მიერ.  
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
12. ანდრია ბალანჩივაძის დახასიათება გაცემული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის — რ. შადურის მიერ.  
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
13. ანდრია ბალანჩივაძის შემოქმედებითი ბიოგრაფია. (სტატია დაწერილია საქ. კულტურის მინისტრის — დ. ჩხიკვიშვილის მიერ).  
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 5 გვ.

## შედეგების მოლოდინის ამსახველი მასალა

14. ანდრია ბალანჩივადის შემოქმედებითი მოლოდინის ამსახველი მასალა (აკინძული წიგნის სახით). 1954 წ. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 37 გვ.
15. ანდრია ბალანჩივადის მიერ შესრულებულ ნაწარმოებთა სია. უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
16. ანდრია ბალანჩივადე. ნოტი – საქართველოს ჰიმნი. საორკესტრო პარტიები. უთარილო. ხელნაწერი. 114 გვ.
17. ანდრია ბალანჩივადე. პარტიტურა – ჰიმნი „სხივმოსილი საქართველო“. უთარილო. ხელნაწერი. 7 გვ.
18. ანდრია ბალანჩივადე. ვლადიკი – ჰიმნი „სხივმოსილი საქართველო“. უთარილო. ხელნაწერი. 11 გვ.
19. ანდრია ბალანჩივადე. ნოტი – ჰიმნი. საგუნდო პარტიები. უთარილო. ხელნაწერი. ქართულ და რუსულ ენებზე. 15 გვ.
20. ანდრია ბალანჩივადე — ნოტი. საქართველოს ჰიმნი. საორკესტრო პარტიები. უთარილო. ხელნაწერი. 51 გვ.
21. ანდრია ბალანჩივადე. ნოტი – სიმღერა „ვეფცხე ჩემს მინას“. უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. დაზიანებული. რუსულ ენაზე. 7 გვ.

## სხვადასხვა პირთა სტატიები და წარმომქმნილი სიტყვები ანდრია ბალანჩივადის შემოქმედების შესახებ.

22. მუსიკათმცოდნე ედ. მესხიშვილის სტატია, ანდრია ბალანჩივადის მე—3 საფორტეპიანო კონცერტის შესახებ. 1952 წ. 20 იანვარი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 4 გვ.
23. მუსიკათმცოდნე ა. წულუკიძის სტატია, ანდრია ბალანჩივადის მე—3 საფორტეპიანო კონცერტის შესახებ. 1952 წ. 13 ივნისი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 7 გვ.
24. პრიფესორ პ. ხუჭუას სტატია, ანდრია ბალანჩივადის მე—3 საფორტეპიანო კონცერტის შესახებ. 1952 წ. 6 სექტემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 3 გვ.
25. გ. კრეიტნერის სტატია, ანდრია ბალანჩივადის მე—3 საფორტეპიანო კონცერტის შესახებ. 1952 წ. 11 თებერვალი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
26. პროფესორ გ. ჩხიკვაძის სტატია ანდრია ბალანჩივადის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით. 1957 წ. 25 იანვარი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 8 გვ.
27. კომპოზიტორ ა. ჩიმაკაძის სტატია ანდრია ბალანჩივადის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით. 1957 წ. 29 იანვარი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 7 გვ.
28. მუსიკადმცოდნეების: ა. ქავთარაძისა და ლ. კაკაბაძის ერთობლივი სტატია ანდრია ბალანჩივადის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით. 1957 წ. 29 იანვარი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 7 გვ.
29. პროფესორ პ. ხუჭუას სტატია ანდრია ბალანჩივადის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით. 1957 წ. 30 იანვარი. თბილისი. ნაბეჭდი. 10 გვ.
30. უცნობი პირის სტატია ანდრია ბალანჩივადის სიმფონია №2 — ისა და საფორტეპიანო კონცერტ №3 — ის ლენინურ პრემიაზე წარდგენასთან დაკავშირებით. 1960 წ. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 35 გვ.

31. სახალხო არტისტის — ო. დიმიტრიადისა და ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორის — ზ. ფალიაშვილის ერთობლივი სტატია ანდრია ბალანჩივადის საფორტეპიანო კონცერტის შესახებ. უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ნაზე. 2 გვ.
32. კონსერვატორიის დირექტორის, პროფესორ — ი. ტუსკიას მიერ წარმოთქმული სიტყვა ანდრია ბალანჩივადის დაბადებიდან 50 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით. 1957 წ. ნაბეჭდი. 1 გვ.
33. პირველი მუსიკალური სკოლისა და სასწავლებლის დირექტორის, კომპოზიტორ — გრ. კოკელაძის მიერ წარმოთქმული სიტყვა ანდრია ბალანჩივადის დაბადებიდან 50 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით. 1957 წ. 19 იანვარი. ნაბეჭდი. 2 გვ.
34. პიერ კობახიძის მიერ წარმოთქმული სიტყვა (ლექსის სახით), ანდრია ბალანჩივადის დაბადებიდან 50 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით. 1957 წ. ნაბეჭდი. 2 გვ.
35. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს — ნ. მუსხელიშვილის მიერ წარმოთქმული სიტყვა ანდრია ბალანჩივადის 50 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით. 1957 წ. ნაბეჭდი. 2 გვ.
36. ვ. აბაშიძის სახ. მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის კოლექტივის მიერ წარმოთქმული სიტყვა ანდრია ბალანჩივადის 50 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით. 1957 წ. ნაბეჭდი. 1 გვ.
37. მხატვარ — უჩა ჯაფარიძის მიერ წარმოთქმული სიტყვა ანდრია ბალანჩივადის 50 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით. 1957 წ. 29 იანვარი. ნაბეჭდი. 2 გვ.
38. კინოსტუდია — „ქართული ფილმის“ შემოქმედებითი კოლექტივის მიერ წარმოთქმული სიტყვა ანდრია ბალანჩივადის დაბადებიდან 50 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით. 1957 წ. 29 იანვარი. ნაბეჭდი. 1 გვ.
39. რუსთაველის თეატრის კოლექტივის მიერ წარმოთქმული მისალოცი სიტყვა ანდრია ბალანჩივადის დაბადებიდან 50 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით. 1957 წ. ნაბეჭდი. 1 გვ.
40. ანდრია ბალანჩივადის მოსწავლეთა მიერ წარმოთქმული სიტყვა ანდრია ბალანჩივადის დაბადებიდან 50 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით. პირი: ა. ჩიმაკაძე, ბ. კვარნაძე, ა. შავერზაშვილი, მ. დავითაშვილი, შ. მილორავა, რ. ლალიძე და ვ. ცაგარელი. 1957 წ. ნაბეჭდი. 1 გვ.
41. თბილისის ზ. ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის საბალეტო კოლექტივის მიერ წარმოთქმული სიტყვა ანდრია ბალანჩივადის 50 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით. პირი: მ. გოგიჩაიშვილი, ვ. ნიგნაძე, ე. ჭაბუკიანი, ს. გორსკი, დ. მჭედლიძე, ზ. კიკალაია, რ. არუთინოვა, ბულიგინი, ი. მეტრეველი, შ. ჩოჩია, ი. ასინსკაია, გ. რუხაძე, იუ. ჩიპიანი და ვ. დოლიძე. 1957 წ. 29 იანვარი. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
42. სომხეთის კომპოზიტორთა კავშირის მიერ წარმოთქმული სიტყვა ანდრია ბალანჩივადის 50 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით. 1957 წ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

## პროგრამები

43. კამერული მუსიკის პირველი საკავშირო ფესტივალის პროგრამა ანდრია ბალანჩივადის მონაწილეობით. 1967 წ. 26 მაისი. ვილნიუსი. დასტამბული. რუსულ ნაზე. 1 ც.
44. საკონცერტო დარბაზ „ესტონია“-ში გამართული სიმფონიური ორკესტრის პროგრამა ანდრია ბალანჩივადის მონაწილეობით. 1968 წ. 28 ოქტომბერი. ტალინი. დასტამბული. რუსულ და ესტონურ ენებზე.

45. ანდრია ბალანჩივაძის დირიჟორობით გამართული საავტორო კონცერტის პროგრამა. 1975 წ. 14 ივნისი. თბილისი. დასტამბული. ქართულ და რუსულ ენებზე. 2 ც.
46. ანდრია ბალანჩივაძის დაბადებიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სალამოს აღსანიშნავი პროგრამა. უთარილო. დასტამბული. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

## მოსაწვევი ბარათები

47. ანდრია ბალანჩივაძის დაბადებიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სალამოს მოსაწვევი ბარათი (სალამო გაიმართა ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრში). 1957 წ. 29 იანვარი. დასტამბული. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.
48. ანდრია ბალანჩივაძის დაბადებიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სალამოს მოსაწვევი ბარათი. 1967 წ. 10 მაისი. თბილისი. დასტამბული. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.
49. ანდრია ბალანჩივაძის დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი სალამოს მოსაწვევი ბარათი. 1976 წ. 6 დეკემბერი. თბილისი. დასტამბული. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

## ღვათები.

50. ანდრია ბალანჩივაძის დაბადებიდან 50 წლისთავის აღსანიშნავი იუბილის მისალოცი დეპეშების ასლები გაგზავნილი ხელოვნების მოღვაწეთა მიერ.  
პირი: 1. მელიქ—ფაშაევი, 2. მოროვეცკაია, 3. სოკოლოვსკაია, 4. ივ. დერჟინსკი, 5. გრინბერგი, 6. ხრენიკოვი, საპორინი, კაბალევსკი, კოვალი, ხუბოკი, მოლჩანოვი, აფანასევი, ვინოგრადოვი, ლევშიცი, კორევი, 7. ივ. ლაკერბაია, 8. ქობულაძე, 9. ეგიაზარიანი, 10. ნიაზი, 11. დანკევიჩი, ტარასოვი, მაიბოროდა, რევეუცი, ლატონინსკი, მაიტუსი, იუნევიჩი, 12. აკაკი ფალავა, 13. დნეპროპეტროვსკის ფილარმონია, 14. დავით არსენიშვილი, 15. (?), 16. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი, ვ. ჭიაურელი, 17. რაჟდენ გუმბა, 18. ბალასრიანი, 19. ნარიმანიძე, 20. ხოლოდინინი, 21. შტოგარენკო, 22. კუშნარევი, 23. სოლიკო ვირსალაძე, 24. ირინ პეტროვა, 25. ლეონტოვსკაია, 26. იაკობ ცეზლიარი, 27. ყაზახეთის კომპ. კავშირი, 28. ესტონეთის კომპ. კავშირი. 29. აზერბაიჯანის კომპ. კავშირი, 30. ლატვიის კომპ. კავშირი. 31. თბილისის კომპ. კავშირი. 32. შოსტაკოვიჩი, 33. ო. თაქთაქიშვილი, 34. გ. ადამინი, 35. მაიტუსი, 36. ფილიპენკო, 37. შალიკო და გოგი თაქთაქიშვილები, 38. არჩილ მშველიძე. ალექსანდრე აბლიანი, 40. გორგაძე, 41. რევიცკი, 42. დ. შვედოვი, 43. საქ. მუსიკალური კათედრის თანამშრომლები, 44. სტეპანიანი, 45. არმ. ხაჩატურიანი, 46. ალექსანდრე გაუკი, 47. ნადეჟდა, ანიჩკა, აკაკი მონონლიძეები, 48. აკაკი ბელიაშვილი, 49. მე-8 მუსიკალური სკოლის კოლეგები, 50. ორლოვი, 51. ობორინი, 52. ლუკინი, 53. დიმიტრი ალქსიძე, 54. მოლდავეთის კომპ. კავშირი, 55. სერგეი გოროდეცკი, 56. ბელი, 57. კესიანი, 58. მარლანია, 59. ბათუმის სამუსიკო სკოლის პედაგოგები, 60. შ. კიკვიძე, 61. ფაიზი, ჟიგონოვი, კლუჩარევი, მუზაფაროვი, 62. შურა ზასლავსკი, 63. ალექსი ფარცხალაძე, 64. მარიამ ანჯევნიშვილი, 65. გორის მუსიკალური სკოლა, 66. სარიანი, 67. ასლანიშვილი, 68. თაყაიშვილი, 69. გალავევი, 70. ტიკოცსკი, 71. ო. გორდელი, 72. ალექსი ფარცხალაძე, 73. გიორგი კემულარია, 74. ენიაზარიანი, 75. სარიანი, სოსიანი, 76. ივ. მიხაილოვი. 77. ტიხონი, ხრენიკოვი, 78. გულბათ ტორაძე, 79. უმრშატი, 80. ქუთაისის სამუსიკო სასწავლებელი. 1957 წ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. (ასლები). 30 გვ.
51. რუს კომპოზიტორთა: ხრენიკოვის, შოსტაკოვიჩის, ხაჩატურიანის, კაბალევსკის, ირდოკის, შჩედრინისა და სვანცევის ერთობლივი საიუბილეო მისალოცი დეპეშა ანდრია ბალანჩივაძისადმი. 1966 წ. 2 ივნისი. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.



## მელიტონ ბალანჩივაძე

მელიტონ ანდრიას ძე ბალანჩივაძეს დიდი წვლილი მიუძღვის მუსიკალური პროფესიული სკოლის ჩამოყალიბებაში. იგი იყო კომპოზიტორი და საზოგადო მოღვაწე, პირველი ეროვნული ოპერის ფუძემდებელი და ნოვატორი ქართველ კომპოზიტორთა შორის, რომელმაც დაამუშავა ქართული ხალხური სიმღერები, საანსამბლო, საგუნდო და საორკესტრო ნაწარმოებთა ფორმებად.

მელიტონ ანდრიას ძე ბალანჩივაძე დაიბადა 1862 წლის 24 დეკემბერს ბანოჯაში. მელიტონის მამა - ანდრია ბალანჩივაძე გალობდა საეკლესიო გუნდში, დედა კი შესანიშნავად მღეროდა. მშობლების სიყვარულმა ხალხური მუსიკალური შემოქმედების მიმართ დიდი გავლენა იქონია მელიტონის მუსიკალური აზროვნების ჩამოყალიბებაზე. მელიტონი სწავლობდა ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში, რომელსაც თავი დაანება და თბილისში ჩამოვიდა, სადაც გალობდა ეგზარქოსის გუნდში, სწორედ ამ გუნდის ლოტბარმა აუშევა აზიარა იგი პროფესიულ საგუნდო ხელოვნებას.

ახალგაზრდა მელიტონი გატაცებული იყო ხალხური სიმღერების შეგროვებითა და ფილიმონ ქორიძესთან ერთად სათავეში ჩაუდგა ქართული ხალხური სიმღერების ნოტებზე გადატანის საქმეს. მელიტონ ბალანჩივაძის სიყვარული ქართული ხალხური სიმღერებისადმი კიდევ უფრო გააღმავა ლადო აღნიაშვილის გუნდთან თანამშრომლობამ, ამ პერიოდში იგი ქმნის თავის პირველ მუსიკალურ ნაწარმოებს “პოპური”, ხოლო ერთი წლის შემდეგ კომპოზიტორი წერს 3 ყველაზე ცნობილ რომანსს: “ოდესაც გიცქერ”, “შენ გეტრფი მარად” და “ნანა შვილო”.

1889 წელს მელიტონ ბალანჩივაძე პეტერბურგის კონსერვატორიაში ირიცხება, სადაც მეცადინეობს ნ. რიმსკი-კორსაკოვთან. პეტერბურგშივე იწყებს მუშაობას ოპერა “თამარ ცბიერზე”, რომლის ნაწყვეტები იდგმება ჯერ პეტერბურგში, ხოლო შემდეგ თბილისში.

1893-98 წლებში მელიტონ ბალანჩივაძე პერიოდულად ჩამოდის საქართველოში და აგრძელებს ხალხური სიმღერების ჩანერას, 1899 წელს რუსულ, მუსიკალურ გაზეთში გამოდის მისი სტატია “ქართული ხალხური საერო გალობის” შესახებ.

1907 წელს მელიტონ ბალანჩივაძის უშუალო დაფინანსებით გამოდის მ. ი. გლინკას წერილების სრული კრებული.

1912 წელს პეტერბურგში იდგმება მისი ოპერის “თამარ ცბიერის” პირველი მოქმედება, ხოლო 1917 წელს მელიტონ ბალანჩივაძე საბოლოოდ ბრუნდება საქართველოში.

1918 წელს მელიტონ ბალანჩივაძე დ. არაყიშვილთან, ზ. ფალიაშვილთან, ზ. ჩხიკვაძესთან და ი. კარგარეთელთან ერთად ხსნის მუსიკალურ სკოლას ქუთაისში. მუსიკალური აღზრდის პარალელურად მელიტონ ბალანჩივაძე აგრძელებს საზოგადო და საკომპოზიტორო მოღვაწეობას, აყალიბებს ახალ გუნდებს და ქმნის კანტატას “დიდება ზაჰესს” და “სტუდენტურ სიმღერას”, ხოლო 1926 წელს კი თბილისის საოპერო თეატრში იდგმება მისი ოპერა “თამარ ცბიერი” 4 მოქმედებად.

1936 წელს მელიტონ ბალანჩივაძე მოსკოვში დააჯილდოვეს “შრომის წითელი ორდენით”.

1937 წლის 21 ნოემბერს გარდაიცვალა, დაკრძალულია ქუთაისში.

გამოყენებული ლიტერატურა: პ. ხუჭუას “მელიტონ ბალანჩივაძე”

## მელიტონ ბალანჩივაძის პირადი საარქივო ფონდი

### ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა.

1. მოწმობა, გაცემული ვარშავის პოლიციის მიერ მ. ბალანჩივაძის სახელზე, ალექსანდროვის დარბაზში კონცერტის ქართულ ენაზე ჩატარებასთან დაკავშირებით.  
1899 წ. 23 დეკემბერი. ვარშავა. დასტამბული. რუსულ ენაზე. 1 გვ.
2. მ. ბალანჩივაძის მოხსენება ქართველთა შორის წერა—კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობისადმი. საუბარია ია კარგარეთელისა და გრიგოლ ჩხიკვაძის მიერ შეკრებილი ქართული სიმღერების შესახებ.  
1896 წ. 2 აპრილი. ტფილისი. ნაბეჭდი. 3 გვ.
3. ქუთაისის სამუსიკო სასწავლებლის საფორტეპიანო განყოფილების დაბალი კლასების მოსწავლეთა ოქმები. სასწავლებლის დირექტორი - მ. ბალანჩივაძე, კლასების მასწავლებელი — ლ. ქუთათელაძე; გამგეობის თავმჯდომარე — კ. გაბაშვილი.  
1919 წ. 5 ივნისი. ქუთაისი. ხელით შევსებული. რუსულ და ქართულ ენებზე. 1 გვ.
4. სახელოვნო კომიტეტის ოქმიდან ამონაწერი, მ. ბალანჩივაძის რომანსების გამოცემასთან დაკავშირებით.  
1922 წ. 5 აპრილი. ნაბეჭდი. ხელს აწერს კომიტეტის მდივანი — შ. აფხაიძე. 1 გვ.
5. ს.ს.ს.რ. განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული ხელოვნების განყოფილების მიერ გაცემული მანდატი მ. ბალანჩივაძის ქუთაისში მივლინებასთან დაკავშირებით.  
1921 წ. 29 აპრილი. ტფილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
6. განათლების სახალხო კომისარიატის მუსიკალური განყოფილების „მუზოს“ გამგის — მელიტონ ბალანჩივაძის ბრძანება, მისი ქუთაისში მივლინებით გამგეობასთან დაკავშირებით. (ბრძანებაში მოხსენიებულია მისი მოვალეობის დროებით აღმსრულებლის თანამდებობაზე, პედაგოგიური ნაწილის გამგე — გიორგი საყვარელიძე).  
1921 წ. 19 მაისი. ტფილისი. ხელნაწერი. ხელს აწერს - მ. ბალანჩივაძე. 1 გვ.
7. მელიტონ ბალანჩივაძის საფინანსო ხასიათის ცნობა სახელოვნო კომიტეტის თავმჯდომარესადმი ხელფასის გამონერასთან დაკავშირებით.  
1921 წ. 5 ივლისი. ნაბეჭდი. გრ. რობაქიძის რეზოლუცია. 1 გვ.
8. სახალხო განათლების კომისარიატის, ხელოვნების განყოფილების ორდერი მ. ბალანჩივაძისათვის ხელფასის გაცემასთან დაკავშირებით. მეორე გვერდზე მინერილი აქვს მ. ბალანჩივაძის დასტური ხელფასის (ჯამაგირის) მიღებასთან დაკავშირებით.  
1921 წ. 5 ივლისი. ტფილისი. ხელნაწერი. 1 გვ.
9. სახელმწიფო ოპერის სათეატრო სექციის გამგის საპასუხო წერილი სახელმწიფო ოპერის თეატრის გამგისადმი ოპერების: „თქმულება შოთა რუსთაველზე“ (დ. არაყიშვილი) და „თამარ ცბიერი“ (მ. ბალანჩივაძე) დადგმასთან დაკავშირებით.  
1921 წ. 14 ოქტომბერი. ნაბეჭდი. 1 გვ.
10. სახელმწიფო ოპერის სათეატრო სექციის ბრძანება ამავე თეატრის გამგისადმი პიესა „ლალატის“ რეპერტუარიდან მოხსნასთან და ოპერების ვ. დოლიძის „ლეილა“ და დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ დადგმასთან დაკავშირებით. ასევე მითითებულია მ. ბალანჩივაძის ოპერა „თამარ ცბიერი“, რომლის დადგმაც უნდა მოხდეს სცენაზე დაჩქარებული წესით.  
1921 წ. ნაბეჭდი. 1 გვ.
11. ს.ს.ს.რ. სახალხო განათლების კომისარიატის მიერ გაცემული მანდატი მ. ბალანჩივაძისადმი ქ. მოსკოვში კონსერვატორიის, სამუსიკო უწყებათა გაცნობისა და საჭირო მასალების შეკრების მიზნით, გაგზავნასთან დაკავშირებით.  
1923 წ. 4 აპრილი. ტფილისი. ხელს აწერენ: განათლების სახალხო კომისარი — გვარი არ იკითხება, საქმეთა მმართველი — გვარი არ იკითხება, მდივანი — ი. რუხაძე. ქართულ და რუსულ ენებზე. 2 გვ.
12. ოქმიდან ამონაწერი მელიტონ ბალანჩივაძისადმი, ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა საზოგადოების საპატიო წევრად არჩევასთან დაკავშირებით. მითითებულია ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა საზო-

გადგომის გამგეობის დამწრეთა სია.

პირი: დ. სულხანიშვილი; დ. გველესიანი, შ. თაქთაქიშვილი, ი. ტუსკია და ელეფტერი. თავმჯდომარე - დ. სულხანიშვილი, მდივანი - დ. გველესიანი.

1923 წ. 29 ივლისი. ნაბეჭდი. 1 გვ.

13. მთავარი სახელოვნო კომიტეტის ბრძანება რეორგანიზაციასთან დაკავშირებით.  
პირი: თავმჯდომარის მოადგილე — გრ. რობაქიძე, თეატრის განყოფილების გამგე — ვლ. სიმონიშვილი; ლიტერატურის განყოფილების გამგე — ა. ქურიძე, მუსიკალური განყოფილების გამგე — მ. ბალანჩივაძე და პროლეტარული კულტურის გამგე — ვ. იგნატოვი.  
1924 წ. 25 ივლისი. ნაბეჭდი. 1 გვ.
14. ამონაწერი ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოების გამგეობის დადგენილებიდან, მელიტონ ბალანჩივაძის საზოგადოების საპატიო წევრად არჩევასთან დაკავშირებით.  
1924 წ. 11 აგვისტო. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე — დ. სულხანიშვილი და მდივანი — დ. გველესიანი. 1 გვ.
15. განათლების კომისარის ბრძანება საქართველოს გასაბჭოების 6 წლისთავის შესახებ, თბილისის სახ. ოპერის თეატრში მელიტონ ბალანჩივაძის მუსიკალურ—რევოლუციური კანტატის „ზაჰისის“ შესრულებასთან დაკავშირებით. საღამოს ჩატარებასთან დაკავშირებით მითითებულია კომისიის წევრთა სია.  
პირი: შალვა დადიანის, კოტე მარჯანიშვილისა და მელიტონ ბალანჩივაძის შემადგენლობით.  
1927 წ. 10 თებერვალი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ განათლების კომისარი — დ. კანდელაკი და საქმეთა მმართველი: ალ. მიქაბერიძე. 1 გვ.
16. ქუთაისის სამუსიკო ტექნიკუმის 10 წლის იუბილეს აღსანიშნავი საპატიო ბარათი.  
პირი: საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე, განათლების განყოფილების გამგე — თ. ჭუმბურიძე.  
კომისიის წევრნი: კომპოზიტორი — მელიტონ ბალანჩივაძე  
სახ. კონსერვატორიის რექტორი, პროფესორი — დ. არაყიშვილი  
სახ. კონსერვატორიის პროფესორი — ლარისა ქუთათელაძე  
ქუთაისის სამუსიკო ტექნიკუმის გამგე — ილ. აბაშიძე  
ტექნიკუმის მასწავლებელი — ლ. ნაკაშიძე  
ქუთაისის ხელოვნების მუშაკთა კავშირის თავმჯდომარე — დ. ჩხეიძე  
ქუთაისის თეატრის რეჟისორი — მ. ქორელი  
ქუთაისის მაზრის ქალთა განყოფ — მ. კოსტავა.  
1928 წ. 9 მარტი. ქუთაისი. დასტამბული. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.
17. შეტყობინება, გაცემული მელიტონ ბალანჩივაძის სახელზე, საქართველოს მუსიკოსთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ არჩევისა და სხდომის ჩატარებასთან დაკავშირებით.  
1928 წ. 25 მარტი. ხელნაწერი. ხელს აწერს გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე — ლ. ქუთათელაძე. 1 გვ.
18. ს.ს.ს.რ. განათლების სახალხო კომისარიატის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი სამუსიკო ტექნიკუმებისა და მუშ. ფაკულტეტების ხელმძღვანელებისთვის დებულების პროექტის შედგენასთან დაკავშირებით.  
1928 წ. 2 აპრილი. ნაბეჭდი. ხელს აწერს სამეცნიერო სამმართველოს გამგე — თოხაძე. 1 გვ.
19. ს.ს.ს.რ. განათლების სახალხო კომისარიატის მიერ გაცემული მანდატი მ. ბალანჩივაძისადმი, მისი სომხეთში კომპოზიტორ სპენდიანოვის დაკრძალვაზე გაგზავნასთან დაკავშირებით.  
1928 წ. 15 ივნისი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ განათლების კომისარი — დ. კანდელაკი და საქმეთა მმართველი — ალ. მიქაბერიძე. რუსულ ენაზე. 1 გვ.
20. მონაშობა გაცემული ს.ს.ს.რ. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მელიტონ ბალანჩივაძის, ანდრია ბალანჩივაძისა და გრიგოლ კილაძის სახალხო—მუსიკალურ შემოქმედების სამეცნიერო გამოკვლევის მიზნით გურიასა და აჭარისტანში გამგზავრებასთან დაკავშირებით. (ასევე ს.ს ცაკ—ის სთხოვს ყველა ადგილობრივ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს მოგზაურობის დროს კომისიას აღმოუჩინონ დახმარება და შეღავათები, შესაძლებლობების ფარგლებში).  
1928 წ. 6 ივლისი. ტფილისი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ ს.ს. ცაკ—ის მდივანი — ივ. ვარძიელი და საქმეთა მმართველი — პ. დოლიძე. 2 გვ.
21. ამონაწერი საქ. ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობის სხდომის ოქმიდან გ. გაბაშვილისთვის სახალხო მხატვრისა და ს. ინაშვილისთვის სახალხო არტისტის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით.  
1929 წ. 30 აპრილი. ტფილისი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ თავმჯდომარე — დიასამიძე და მდივანი — გა-



- ჩეჩილაძე. ასლი. დედანთან დამონმებულია პ. ჩიჩოვეის მიერ. 1 გვ.
22. განათლების სახალხო კომისარიატის შეტყობინება მ ბალანჩივაძისადმი, აჭარის ავტონომიური რესპ. განსახ. კომისარიატის დეპეშის თანახმად, მისი ბათუმის მუსიკალური ტექნიკუმის გამგედ დანიშვნასთან დაკავშირებით.  
1929 წ. 5 ნოემბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერს სამუსიკო განყოფილების გამგე — კ. მეღვინეთუხუცესი. 1 გვ.
  23. ამონაწერი განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის სხდომის ოქმიდან საქართველოს ცაკ—ისადმი, მ. ბალანჩივაძისათვის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდების მინიჭებისა და პერსონალური პენსიის დანიშვნასთან დაკავშირებით. ასევე განსახკომის სახელით, მ ბალანჩივაძესათვის 1000 მანეთის ოდენობის თანხის გადაცემასთან დაკავშირებით.  
1931 წ. 15 თებერვალი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: თავმჯდომარე — კვირიკაძე, მდივანი — ლორთქიფანიძე. 1 გვ.
  24. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ცნობა მ ბალანჩივაძისადმი რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით.  
1933 წ. 3 დეკემბერი. ტფილისი. ნაბეჭდი. ხელს აწერს ცენტ. აღმასრ. კომიტეტის საქმეთა მმართველი — ე. გოგიბერიძე. 1 გვ.
  25. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ცნობის ასლი, მ ბალანჩივაძისადმი რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით.  
1933 წ. 29 დეკემბერი. ტფილისი. ნაბეჭდი. ასლი. 1 გვ.
  26. ბრძანების ასლი რესპუბლიკის სახალხო არტისტის მ. ბალანჩივაძის 50 წლის მუსიკალური მოღვაწეობის, სახ. კონსერვატორიის საპატიო წევრად არჩევისა და სახ. სტიპენდიის დანიშვნასთან დაკავშირებით.  
1934 წ. 23 მაისი. ნაბეჭდი. ასლი. დამონმებულია დედანთან ნ. ჯანდიერის მიერ. 1 გვ.
  27. ბრძანება განათლების სახალხო კომისარიატისადმი მ. ბალანჩივაძის ქუთაისის მუსიკალური ტექნიკუმის დირექტორად დანიშვნასთან დაკავშირებით.  
1935 წ. 29 სექტემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. 1 გვ.
  28. ქუთაისის საქალაქო ადგილკომის მანდატი მ. ბალანჩივაძისადმი ხელოვნების მუშაკთა კავშირის ყრილობის დელეგატად ქუთაისის მუსიკალურ სასწავლებელში არჩევასთან დაკავშირებით.  
1937 წ. 14 ოქტომბერი. ქუთაისი. ხელნაწერი. ხელს აწერს ადგილკომი — ი. ნარიმანოვი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
  29. სათეატრო მუზეუმის დირექტორის ლ. კანდელაკის წერილი მ. ბალანჩივაძისადმი. სთხოვს მისი შემოქმედებიდან სხვადასხვა მუსიკალური მასალების მიწოდებას, რადგან მუზეუმი აგროვებს საისტორიო მნიშვნელობის მასალებს მუსიკალური განყოფილების მოსაწყობად.  
1937 წ. 25 ივნისი. ხელნაწერი. ხელს აწერს სათეატრო მუზეუმის დირექტორი — ლ. კანდელაკი. 1 გვ.
  30. განათლების სახალხო კომისარიატის მუსიკალური განყოფილების გამგის მელიტონ ბალანჩივაძის მიერ აღძრული შუამდგომლობა სახალხო კომისარის მიმართ კონსერვატორიის სტუდენტ — მარია კალანდაძისათვის დახმარების გაცემასთან დაკავშირებით.  
წ. (?). 12 ივნისი. ავტოგრაფი. ხელს აწერენ: მუსიკის განყოფილების უფროსი — მ. ბალანჩივაძე, მდივანი — პ. ბოკერია. რუსულ ენაზე. 1 გვ.
  31. საფინანსო ანგარიში ოპერა — „თამარ ცბიერთან“ დაკავშირებით.  
უთარილო. ხელნაწერი. ხელს აწერს: ვ. ა. მონსიორსკი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
  32. ბრძანება გაცემული მელიტონ ბალანჩივაძის სახელზე, კონსერვატორიის საბჭოს წევრად და ქართული ხალხური მუსიკის შემკრებ და შემსწავლელ კოლეგიის თავმჯდომარედ დანიშვნასთან დაკავშირებით.  
უთარილო. ნაბეჭდი. ხელს აწერს სახალხო განათლების კომისარი აკაკი ფალავა. 1 გვ.
  33. მიმართვა საქართველოს სახალხო კომისარიატისადმი გურიაში, აჭარისტანსა და აფხაზეთში ქართული ხალხური შემოქმედების ნიმუშების შეგროვებასთან დაკავშირებით.  
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ძლიერ დაზიანებული. 2 გვ.
  34. მელიტონ ბალანჩივაძის პერსონალური პენსიონერის შეღავათების წიგნაკი.  
უთარილო. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

## უამოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა.

35. მელიტონ ბალანჩივაძის მოკლე შემოქმედებითი ბიოგრაფია ავტორისეული ჩასწორებებით. უთარილო. ავტოგრაფი. ნაბეჭდი. ქართულ და რუსულ ენებზე. 2 გვ.
36. მელიტონ ბალანჩივაძის სტატია — „საქართველოში მუსიკალური საქმის ორგანიზაციის პროექტის“ შესახებ.  
1926 წ. ნაბეჭდი. მ. ბალანჩივაძის ხელმოწერით. 5 გვ.
37. ლიბრეტო მ. ბალანჩივაძის ოპერა „თამარ ცბიერი“ (ლიბრეტო დაწერილია კ. ფოცხვერაშვილის მიერ).  
1926 წ. აპრილი. ტფილისი. დასტამბული. 1 ც.
38. მ. ბალანჩივაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სალამოს ჩანაწერი. (სალამოზე სიტყვით გამოვიდნენ: საქ. თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე — შალვა დადიანი, დოცენტი — პავლე სტურუა, საკონცერტო განყოფილების მონაწილეები — პავლე ამირანაშვილი და მერი ნაკაშიძე).  
1952 წ. 7 აპრილი. ნაბეჭდი. 5 გვ.
39. მელიტონ ბალანჩივაძის ჩანაწერი საქართველოში ქართული სიმღერა—გალობისა და მუსიკის შესწავლა—დამკვიდრების შესახებ. (მოხსენიებული აქვს 1850 წელი, როდესაც ტფილიში საძირკველი ჩაეყარა იტალიური ოპერის შექმნას).  
პირი: ხალამპრე სავანელი, ალიოზ მიზანდარი და კონსტანტინე ალიხანოვი, რომელთაც 1888 წელს პირველებმა შექმნეს სამუსიკო სასწავლებელი).  
უთარილო. ავტოგრაფი. ძლიერ დაზიანებული. 3 გვ.
40. ლიბრეტოები: I. მ. ბალანჩივაძის ოპერა — „თამარ ცბიერი“. II. ა. ანდრიაშვილის ოპერა — „კაკო ყაჩალი“.  
უთარილო. ხელნაწერი. ქართულ და რუსულ ენებზე. დაზიანებული. 33 გვ.
41. მელიტონ ბალანჩივაძის ოპერა — „თამარ ცბიერი“—ს ლიბრეტო.  
უთარილო. ავტოგრაფი. ძლიერ დაზიანებული. 20 გვ.
42. მელიტონ ბალანჩივაძის ოპერა — „თამარ ცბიერი“ —ს ლიბრეტო.  
უთარილო. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 28 გვ.
43. მელიტონ ბალანჩივაძის ოპერა — „დარეჯან ცბიერი“. (აკ. წერეთლის — „თამარ ცბიერის“ მიხედვით).  
უთარილო. ნაბეჭდი. ინგლისურ ენაზე. ძლიერ დაზიანებული. 2 გვ.
44. მელიტონ ბალანჩივაძის მოსაზრება მუსიკალური განათლების სისტემის რეორგანიზაციის შესახებ.  
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
45. მელიტონ ბალანჩივაძის მიერ გადაწერილი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები: „სულო ბოროტო“, „მადლი შენს გამჩენს“, „ლამაზო“, „საყურე“ და „მერანი“.  
უთარილო. ხელნაწერი. 3 გვ.
46. მელიტონ ბალანჩივაძის მიერ გადაწერილი ლექსები: „შიქასტა“; „მეზარე“; „შრომის სამეფოში“; „გლეხის სიმღერა“; „გლეხის ნატვრა“.  
უთარილო. ხელნაწერი. 5 გვ.
47. მელიტონ ბალანჩივაძის კანტატის „შრომის ჰიმნის“ („ზაჰესი“) გარჩევა. (ავტორი უცნობია).  
უთარილო. ხელნაწერი. წითელი მელანი. რუსულ ენაზე. 4 გვ.
48. მელიტონ ბალანჩივაძის მიერ გადაწერილი სანდრო ყანჩელისა და ცახელის ლექსები.  
უთარილო. ხელნაწერი 1 გვ.
49. მელიტონ ბალანჩივაძის სტატია „ქართული საერო სიმღერის შესახებ“ (ავტორისეული ჩასწორებებით)  
უთარილო. ნაბეჭდი. 6 გვ.
50. მელიტონ ბალანჩივაძის კანტატა — „Гимн труду“  
უთარილო. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 3 გვ.

51. მ. ბალანჩივაძის უბის ნიგნაკი სხვადასხვა სახის ჩანაწერებით უთარილო. ხელნაწერი. ქართულ და რუსულ ენებზე. 8 გვ.
52. მ. ბალანჩივაძის უბის ნიგნაკი სხვადასხვა სახის ჩანაწერებით უთარილო. ხელნაწერი. ქართულ და რუსულ ენებზე. ძლიერ დაზიანებული. 19 გვ.
53. მ. ბალანჩივაძის უბის ნიგნაკი სხვადასხვა სახის ჩანაწერებით უთარილო. ავტოგრაფი. ფრანგულ და რუსულ ენებზე. 40 გვ.

## ეპისტოლარული მემკვიდრეობა

### წერილები მელიტონ ბალანჩივაძისადმი.

54. ნ. ფინდეიზენის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. წერს თავის სურვილზე, შეახვედროს მ. ბალანჩივაძე ქართული მუსიკით დაინტერესებულ ნიკოლოზ ივანეს ძე პოლტარეტსკის. 1902 წ. 24 ნოემბერი. ნ. ფინდეიზენის ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
55. ბ. გამსახურდიას წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. სთხოვს ფულად დახმარებას გაზეთის (?) გამოცემასთან დაკავშირებით. 1904 წ. 15 მაისი. ხელნაწერი. 1 გვ.
56. რიმსკი-კორსაკოვისა და ნიკოლ ფინდეიზენის ბარათი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. (ნოტზე გადატანილი) 1906 წ. 6 თებერვალი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
57. ნიკოლოზ ფინდეიზენის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. სთხოვს ჩონგურს, პეტერბურგში გამართულ მუსიკალური ინსტრუმენტების გამოფენისთვის. ასევე წერს გლინკას წერილების გამოცემასთან დაკავშირებით. 1906 წ. 26 ნოემბერი. ქ. პეტერბურგი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. დაზიანებული. 1 გვ.
58. წერილი გადატანილი ნოტებზე. მიწერილი მ. ბალანჩივაძისადმი. 1907 წ. 4 მარტი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
59. “საზოგადოება მუსიკის მეგობრების” თანამშრომლის ნ. ფინდეიზენის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი ოპერა „თამარ ცბიერის“ შესახებ. (ნახსენებია აკაკი წერეთლის მოღვაწეობის 50 წლის იუბილე). 1908 წ. 4 დეკემბერი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 3 გვ.
60. პეტერბურგის სახალხო უნივერსიტეტების საზოგადოების მადლობის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. მადლობას უცხადებენ ეთნოგრაფიულ კონცერტ—მეჯლისში მონაწილეობასთან დაკავშირებით. 1910 წ. 28 იანვარი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
61. პეტერბურგის სახალხო უნივერსიტეტების საზოგადოების თეატრალური გამგეობის ადმინისტრაციული სექციის მადლობის წერილი მ. ბალანჩივაძისადმი. მადლობას უცხადებენ ეთნოგრაფიული კონცერტ—მეჯლისში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით. 1910 წ. 24 თებერვალი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
62. ფაცია კლდიაშვილის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. წერს, რომანსების შემსრულებელ მამოს(?) შესახებ, რომელიც შეუდარებლად ასრულებდა მ. ბალანჩივაძის რომანსებს. წუხს მისი გარდაცვალების გამო და სთავაზობს, რომელიმე მისი სასიმღერო ოპერიდან მიუძღვნას მამოს(?) ხსოვნას. მოიხსენიებს მამოს შვილებს: გრიშას და თამარს. (წერილის ბოლოს მიწერილი აქვს ს. გერსამიას ცნობა: „ — ფ. კლდიაშვილი ცნობილი სათეატრო მოღვაწის ეფრო კლდიაშვილის ქალია“). 1911 წ. 23 ივლისი. ხელნაწერი. 3 გვ.
63. საზოგადოება „მუსიკის მეგობრების“ წერილი მ. ბალანჩივაძისადმი, პირველი ქართული საღამოს ჩატარებასთან დაკავშირებით. პირი: კ. ფოცხვერაშვილი. 1912 წ. 27 აპრილი. სანკტ—პეტერბურგი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

64. უცნობი პირის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი.  
პირი: კ. ფოცხვერაშვილი.  
1913 წ. 3 ნოემბერი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 3 გვ.
65. არხანგელსკის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. წერს 1914 წლის 16 მარტს ჩატარებული კონცერტის შესახებ.  
პირი: კ. ფოცხვერაშვილი.  
1914 წ. 26 აპრილი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
66. უცნობი პირის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი ყაზანში მუსიკალურ ცხოვრებასთან დაკავშირებით.  
1915 წ. 4 ნოემბერი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
67. წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. „პეტროგრადის უწყებანის“ („Петроградских Ведомостей“) რედაქცია სთხოვს მ. ბალანჩივაძეს დაწეროს სტატია ქართული მუსიკის შესახებ.  
1915 წ. 26 დეკემბერი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
68. ტ. ტუტჩევის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. წერილის ავტორი მაღლობას უხდის მისდამი განსაკუთრებული ყურადღებისთვის.  
1916 წ. 22 თებერვალი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
69. კოტე ფოცხვერაშვილის წერილი ლექსის სახით მელიტონ ბალანჩივაძისადმი. წერს დაპირებული (?) ოპერის შესახებ.  
1919 წ. 15 მარტი. ხელნაწერი. 1 გვ.
70. როზა ფიცხელაურის პირადი ხასიათის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი.  
1920 წ. 25 თებერვალი. ხელნაწერი. 2 გვ.
71. კ. ფოცხვერაშვილის წერილი მ. ბალანჩივაძისადმი ქოროსთვის პარტიების გაგზავნასთან დაკავშირებით.  
პირი: დოლონაძე და მომღერალი ქალი ოკუნევა, რომელმაც უნდა შეასრულოს მ. ბალანჩივაძის „ნანი-ნა“ და კ. ფოცხვერაშვილის „ქურუმ ქალის ლოცვა“.  
1921 წ. 21 იანვარი. ავტოგრაფი. 2 გვ.
72. ზაქარია ფალიაშვილის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. სთხოვს ქირით აღებული როიალის კონსერვატორიაში გადმოტანის ნებართვას.  
პირი: კონსერვატორიის მოწაფე — შხიანი. (წერილს ერთვის მ. ბალანჩივაძის რეზოლუცია რუსულ ენაზე).  
1921 წ. 24 ნოემბერი. ავტოგრაფი. 2 გვ.
73. ზაქარია ფალიაშვილი წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. სთხოვს ათხოვონ როიალი პოლიტ ტექნიკუმის სტუდენტებს თბილისის საარტისტო საზოგადოების დარბაზში ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ კონცერტის ჩასატარებლად.  
1921 წ. 30 დეკემბერი. ავტოგრაფი. 2 გვ.
74. ზაქარია ფალიაშვილის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. წერს სამმართველოში ჩატარებული კრების შესახებ და სთხოვს ეწვიოს სახლში, რათა კიდევ ერთხელ მოელაპარაკოს კონსერვატორიასთან დაკავშირებით.  
1922 წ. 1 ივნისი. ავტოგრაფი. 2 გვ.
75. უცნობი პირის პირადი ხასიათის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი.  
1922 წ. 8 აგვისტო. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
76. ლაზარ ალელოვის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. წერს ეტიუდებისა და ლირიკული პიესების გამოგზავნასთან დაკავშირებით.  
პირი: შალვა დადიანი და პ. ხურციძე.  
1923 წ. 21 იანვარი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
77. უცნობი პირის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. მაღლობას უხდის გამოგზავნილი ნოტებისა და სიმების გამო. ასევე სთხოვს სამტრედიის მუსიკალური სკოლისთვის გამოგზავნოს პიანინო და როიალი.  
1923 წ. 23 მარტი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
78. ა.ვ. ზელიგერის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. წერს მოსკოვში არსებული ორგანიზაციის цекубу-ს (Центральная комиссия по улучшению быта ученых) ანგარიშის თაობაზე. ასევე ტფილის-

- ში არსებული ორგანიზაცია тифкубу—ს (Тифлиский комиссия по улучшению быта ученых) ურთიერთ თანამშრომლობასთან დაკავშირებით.  
1923 წ. 16 მაისი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 3 გვ.
79. ი. აისბერგის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი; წერს მისი ავადმყოფობის გამო და სთხოვს შუამდგომლობას ეროვნული კომიტეტისადმი, რათა მისცენ ერთ წლიანი უხელფასო შვებულება.  
1923 წ. 10 ოქტომბერი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 3 გვ.
80. ზაქარია ფალიაშვილის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. წერს, კონსერვატორიის საქმეებთან დაკავშირებით.  
პირი: ცეცვიანოვი და პროფესორი ლუდნიკი.  
1924 წ. 27 თებერვალი. ავტოგრაფი. 1 გვ.
81. ვ. აბაშიძის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. წერს, ქუთაისის მუსიკალური სასწავლებლის გამოცდებზე ავტორიტეტული პირის გამოგზავნასთან დაკავშირებით.  
1924 წ. 13 ივნისი. ავტოგრაფი. 1 გვ.
82. ალ. აბაშელის პირადი ხასიათის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი.  
პირი: მ. იპოლიტოვ—ივანოვი და დავით კანდელაკი.  
1924 წ. 17 ივნისი. ხელნაწერი. 2 გვ.
83. ქუთაისის მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგის ლ. კასანის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. წერს მუსიკალურ სასწავლებელთან დაკავშირებით.  
1929 წ. 4 სექტემბერი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 3 გვ.
84. ივანე ფალიაშვილის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. წერილში საუბარია მ. ბალანჩივაძის ოპერა „თამარ ცბიერი“ შესახებ. ასევე ბათუმის გასტროლებთან დაკავშირებით.  
პირი: ივანე კოზლოვსკი.  
1930 წ. 19 მაისი. ხელნაწერი. ქართულ ენაზე. 3 გვ.
85. მელიტონ კუხიანიძის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. წერს, ქუთაისის მუსიკალური სასწავლებლის შესახებ.  
პირი: ვიოლინოს მასწავლებელი ლუგკერი (ერევნის კონსერვატორიის მასწავლებელი).  
1930წ. 8 აგვისტო. ქუთაისი (არქიელის გორა). ხელნაწერი. 2 გვ.
86. სახალხო ლოტბარ მელქისედექ ნაკაშიძის ლექსად თქმული წერილი მ. ბალანჩივაძისადმი.  
1931წ. ქ. ბათომი. ნაბეჭდი. 4 გვ.
87. მელიტონ კუხიანიძის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. წერს, ქუთაისში სიმფონიური ორკესტრის ჩამოყალიბების შესახებ. ნახსენებია ცირას არია („ცირას სიმღერები“) მ. ბალანჩივაძის ოპერიდან „თამარ ცბიერი“.  
1934 წ. 27 ოქტომბერი. ხელნაწერი. 1 გვ.
88. თბილისის ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის დირექტორის გრ. კანდელაკის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. წერს მ. ბალანჩივაძის მოღვაწეობის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებულ ბულეტენული პრობლემების შესახებ, რომელიც თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში 1934 წელს ჩატარდა.  
1935 წ. 21 იანვარი. თბილისი. ნაბეჭდი. ხელს აწერს გრ. კანდელაკი. 2 გვ.
89. საქ. კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილის გრ. კოკელაძის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი, რომელიც სთხოვს მის მაგივრად დაესწროს ღონისძიებას სახელმწიფო ოპერის თეატრში. დანიშნულ შეხვედრასთან დაკავშირებით, მოხსენიებულია ლავრენტი ბერია.  
1935 წ. 9 ოქტომბერი. ხელნაწერი. 1 გვ.
90. ი. აისბერგის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი, ახალგაზრდა პიანისტსა და პედაგოგის ანდრო პეტრეს ძე სვანიძის რეკომენდაციასთან დაკავშირებით.  
1936 წ. 1 სექტემბერი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
91. მოსკოვის რადიოკომიტეტის წერილი მ. ბალანჩივაძისადმი ჩეხოსლოვაკური მუსიკის კონცერტზე დასწრებასთან დაკავშირებით.  
1937 წ. 13 იანვარი. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.



92. არტილერიის მაიორის სერგო არხიპის—ძე სემიონოვის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი, შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებასთან დაკავშირებით.  
პირი: გიორგი მელიტონის ძე ბალანჩივაძე.  
1937 წ. 18 იანვარი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
93. უცნობი პირის წერილი მ. ბალანჩივაძისადმი, უმაღლესი ჯილდოს მიღებასთან დაკავშირებით.  
1937 წ. 26 იანვარი. ლენინგრადი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
94. ფ. კლდიაშვილის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით. სურს დაგეგმილ საღამოზე შესრულდეს მ. ბალანჩივაძის ღუეტები: „ტყემ მოისხა ფოთოლი“ და „ნანა“.  
1937 წ. 19 მაისი. ხელნაწერი. 1 გვ.
95. გ. ბუხნიკაშვილის საპასუხო წერილი სამუელ ლვოვის ძე გინზბურგისადმი. წერს ოპერა „დარეჯან ცბიერის“ რუსული ლიბრეტოს პირველ ვარიანტთან დაკავშირებით.  
პირი: კ. ფოცხვერაშვილი.  
1956 წ. 7 თებერვალი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 2 გვ
96. ბ. სობორის საპასუხო წერილი მ. ბალანჩივაძისადმი, თბილისის კონსერვატორიაში სამუშაოდ ჩამოსვლასთან დაკავშირებით.  
(?) 20 სექტემბერი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
97. მელიტონ ბალანჩივაძის წერილი იაკობ მანსვეტაშვილისადმი. სწერს ქუთაისში, ბათუმში, სენაკსა და ოზურგეთში კონცერტების გამართვასთან დაკავშირებით.  
პირი: მამია გურიელი, ნათაძე, იაკობ სიმონის ძე (?).  
უთარილო. ნაბეჭდი. ქართულ ენაზე. 1 გვ.
98. ლავრენტი თევდორაძის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი ნოტების გადაწერასთან დაკავშირებით.  
პირი: ბახტაძე.  
უთარილო. ხელნაწერი. ქართულ ენაზე. 3 გვ.
99. ლავრენტი თევდორაძის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. წერს, ჩატარებული კონკურსის შესახებ.  
პირი: დ. არაყიშვილი, ბ. ხაჩიკიანი.  
უთარილო. ხელნაწერი. ქართულ ენაზე. 3 გვ.
100. ანა ბალანჩივაძის (დის) პირადი ხასიათის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი.  
უთარილო. ხელნაწერი. ფანქარი. 3 გვ.
101. ფილიპე ბალანჩივაძის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. სთხოვს დახმარებას, მისი შვილის შალიკოს სამსახურში მონყობასთან დაკავშირებით.  
უთარილო. ხელნაწერი. 1 გვ.
102. მიხეილ წერეთლის (კიევის ქართველი სტუდენტი) წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. კიევში დაგეგმილი ქართული საღამოს გამო, სთხოვს, ჩამობრძანდეს, რათა იქაურ ქოროს მომღერლებს შეასწავლოს ქართული კილო. ასევე არ დაავინწყდეს, თან წამოიღოს ნოტები და ნაციონალური „ტანთ—საცმელი“.  
პირი: ქალბატონი სარაჯიშვილი და სტუდენტი ნანობაშვილი.  
უთარილო. კიევი. ხელნაწერი. 2 გვ.
103. შალვა დადიანის პირადი ხასიათის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი.  
უთარილო. ავტოგრაფი. 1 გვ.
104. ძუკუ ლოლუას წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. წერს თავისი გუნდის შესახებ. სთხოვს თანხის გამოყოფას ქუთაისში კონფერენციის ჩატარებასთან დაკავშირებით.  
უთარილო. ხელნაწერი. 2 გვ
105. პეტერბურგის “მუსიკის მეგობრობის საზოგადოების“ გამგეობის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი ეთნოგრაფიის სექციის შეკრებაზე მიწვევასთან დაკავშირებით.  
უთარილო. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
106. ნატალია მიხეილის ასულ მენზბირგის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. წერს ლ. ქუთათელაძის ბერლინში გამგზავრებასთან დაკავშირებით.

- უთარილო. მოსკოვი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 3 გვ.
107. ლ. ბერიას სახ. მე—13 საშუალო სკოლის მოსწავლეთა მისასალმებელი წერილი მ. ბალანჩივაძისადმი კრემლში ჩატარებული ოლიმპიადისა და „შრომის ორდენით“ დაჯილდოების შესახებ.  
უთარილო. ხელნაწერი. 2 გვ.
108. ა. გაბარაშვილის წერილი მ. ბალანჩივაძისადმი. სთხოვს დახმარებას შვილის კონსერვატორიაში მონ-  
ყობასთან დაკავშირებით.  
უთარილო. ხელნაწერი. 2 გვ.
109. ლავრენტი თევდორაძის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. (წერს თავისი სიმღერის გადაწერასა და  
ტრანსკრიფციების თაობაზე).  
პირი: კოტე ფოცხვერაშვილი.  
უთარილო. ხელნაწერი. 1 გვ.
110. ნ. ფინდგიზენის პირადი ხასიათს წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი.  
7 ივლისი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
111. ნ. ფინდგიზენის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. წერს მ. გლინკას წერილების შესახებ.  
უთარილო. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
112. მ. იპოლიტოვ—ივანოვის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. სთხოვს გამოუგზავნონს საქართველოს  
სახალხო კომისრის თხოვნა ა. ლუნაჩარსკისადმი მისი თბილისის კონსერვატორიაში ლექციების წასა-  
კითხად მივლინებისა და კონცერტების დირიჟორობის შესახებ.  
1923 წ. 28 ოქტომბერი. ავტოგრაფი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 6 გვ.
113. მ. იპოლიტოვ—ივანოვის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. წერს თბილისის კონსერვატორიაში  
მისი პროფესორის თანამდებობაზე დანიშვნისა და ასევე თბილისის კონსერვატორიაში სპეციალური  
ინსტრუმენტმცოდნეობის კურსის წაკითხვის ნებართვის შესახებ.  
1923 წ. 5 ნოემბერი. ავტოგრაფი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 4 გვ.
114. მ. იპოლიტოვ—ივანოვის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. წერს თბილისში გამოსვლისა და კონ-  
ცერტების ჩატარებასთან დაკავშირებით.  
პირი: მარია გავერილოვა—მირზოევა.  
1923 წ. 15 ნოემბერი. ავტოგრაფი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 7 გვ.
115. მ. იპოლიტოვ—ივანოვის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. თბილისის კონსერვატორიაში მის მიერ  
ინსტრუმენტმცოდნეობის კურსის წაკითხვისა და სიმფონიური კონცერტების დირიჟორობის შესახებ.  
1923 წ. 6 მაისი. ავტოგრაფი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 7 გვ.
116. მ. იპოლიტოვ—ივანოვის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. წერს თბილისში ჩამოსვლასთან და  
კონსერვატორიის წესდების გამოგზავნასთან დაკავშირებით.  
1923 წ. 15 ივნისი. ხელნაწერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 3 გვ.
117. მ. იპოლიტოვ—ივანოვის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. წერს სასწავლო გეგმის მ. ბ. ცოკიანო-  
ვისთვის გადაცემასა და მოსკოვში გამართული კონცერტების შესახებ.  
1924 წ. 26 მარტი. ავტოგრაფი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 6 გვ.
118. მ. იპოლიტოვ—ივანოვის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. წერს თბილისის კონსერვატორიაში  
მუშაობის დაწყების თაობაზე.  
პირი: ვ. მ. ზარუდნაია—ივანოვი, მ. ბ. ცოკიანოვი და ა. ფ. მასნიკოვი.  
1924 წ. 28 აპრილი. ავტოგრაფი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 10 გვ.
119. მ. იპოლიტოვ—ივანოვის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. წერს ვ. მ. ზარუდნაიას (მ. იპოლიტოვ—  
ივანოვის მეუღლე) თბილისის კონსერვატორიაში საოპერო კლასის პროფესორად დანიშვნის თაობაზე.  
პირი: კ. ა. მარჯანოვი (კოტე მარჯანიშვილი).  
1924 წ. 25 აგვისტო. ხელნაწერი. ნაბეჭდი. 6 გვ.
120. მ. იპოლიტოვ—ივანოვის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. წერს თბილისში სამუშაოდ გადმოს-  
ვლასა და მის მიერ ახლადმუშავებული სასწავლო წლის გეგმის შესახებ.  
1924 წ. 25 სექტემბერი. ავტოგრაფი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 6 გვ.

121. მ. იპოლიტოვ—ივანოვის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. წერს მისი დიდი თეატრის დირიჟორად და სარეპერტუარო ნაწილის ხელმძღვანელად დანიშვნის თაობაზე.  
1925 წ. 14 ივლისი. ავტოგრაფი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 4 გვ.
122. მ. იპოლიტოვ—ივანოვის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. წერს ფ. მ. ბლუმენფელდის თანხმობაზე თბილისის კონსერვატორიის გამოცდებზე დასწრებასთან დაკავშირებით.  
პირი: ივანე ფალიაშვილი  
1926 წ. 9 მაისი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 4 გვ.
123. მ. იპოლიტოვ—ივანოვის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. წერს ფ. მ. ბლუმენფელდის ტფილისში ჩამოსვლასთან და კონსერვატორიის გამოცდებზე მის დასწრებასთან დაკავშირებით.  
პირი: ვ. კ. სვიმონიშვილი და გ. თ. რობაქიძე.  
1926 წ. 9 მაისი. ქ. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
124. მ. იპოლიტოვ—ივანოვის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. წერს თბილისში ჩამოსვლასა და თბილისის კონსერვატორიაში ჩატარებული რეფორმის თაობაზე.  
1926 წ. 5 ივნისი. ავტოგრაფი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 5 გვ.
125. მ. იპოლიტოვ—ივანოვის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. წერს თბილისის კონსერვატორიის პროფესორად და რექტორად დანიშვნის თაობაზე.  
პირი: ზ. ფალიაშვილი და დ. არაყიშვილი.  
1926 წ. 11 აგვისტო. ავტოგრაფი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 6 გვ.
126. უცნობი პირის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. წერილის ავტორი სთხოვს მ. ბალანჩივაძეს მიიღოს ვოკალის პედაგოგად კ. კორდიაკი ბათუმის მუსიკალურ სასწავლებელში. პირი: ანრია ბალანჩივაძე.  
1930 წ. 18 ივნისი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
127. მ. იპოლიტოვ — ივანოვის წერილის თბილისში ჩამოსვლასთან, ოპერაში დირიჟორობისა და კონცერტების ჩატარებასთან დაკავშირებით.  
უთარილო. ხელნაწერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 3 გვ.
128. მ. იპოლიტოვ — ივანოვის წერილის ფრაგმენტი. აინტერესებს პირობები თბილისში საცხოვრებლად გადმოსვლასთან დაკავშირებით.  
უთარილო. ხელნაწერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

## ლია ბარათიუბი

129. ნ. ფინდეიზენის ლია ბარათი მელიტონ ბალანჩივაძისადმი წერს, ლენინგრადში გამართულ ქართული მუსიკის საღამოს შესახებ.  
1909 წ. 27 იანვარი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 ც.
130. კოტე ფოცხვერაშვილის პირადი ხასიათის ლია ბარათი მელიტონ ბალანჩივაძისადმი.  
1911 წ. 11 ივნისი. ხელნაწერი. ქართულ და რუსულ ენაზე. 1 ც.
131. „საზოგადოება მუსიკის მეგობრების ლია ბარათი მელიტონ ბალანჩივაძისადმი ხაზინადარად დანიშვნის შესახებ.  
პირი: ფინდეიზენი.  
1912 წ. 28 სექტემბერი. პეტერბურგი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 ც.
132. ნ. ფინდეიზენის პირადი ხასიათის ლია ბარათი მელიტონ ბალანჩივაძისადმი.  
1912 წ. 3,4 დეკემბერი. ს—პეტერბურგი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 ც.
133. ნ. ფინდეიზენის პირადი ხასიათის ლია ბარათი მელიტონ ბალანჩივაძისადმი  
1913 წ. 17 აგვისტო. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 ც.
134. კოტე ფოცხვერაშვილის პირადი ხასიათის ლია ბარათი მელიტონ ბალანჩივაძისადმი.  
1914 წ. 1 ივლისი. ხელნაწერი. ქართულ ენაზე. 1 ც.
135. ნ. ფინდეიზენის პირადი ხასიათის ლია ბარათი მელიტონ ბალანჩივაძისადმი.

- პირი: მარია ნიკოლოზის ასული (?).  
1917 წ. 19 სექტემბერი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 ც.
136. დიმიტრი არაყიშვილის ღია ბარათი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. წერს დ.ნ. მიხაილოვის ბათუმის მუსიკალურ სასწავლებელში მუსიკის ისტორიის წასაკითხად მიწვევასთან დაკავშირებით.  
1930 წ. 12 მარტი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 ც.
137. მ. ბიხტერის ღია ბარათი მელიტონ ბალანჩივაძისადმი ბათუმში კონცერტში მონაწილეობასთან დაკავშირებით.  
1913 წ. 16 აპრილი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 ც.
138. უცნობი პირის ღია ბარათი მელიტონ ბალანჩივაძისადმი იუბილესა და ასევე ნოტების გამოგზავნასთან დაკავშირებით.  
1917 წ. 19 სექტემბერი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 ც.
139. თბილისის კონსერვატორიის რექტორის ნიკოლოზ ჩერეპნინის წერილი მელიტონ ბალანჩივაძისადმი. წერს, კონსერვატორიის შესახებ.  
1917 წ. 19 სექტემბერი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 ც.
140. ნ. ფინდეიზენის პირადი ხასიათის ღია ბარათი მელიტონ ბალანჩივაძისადმი.  
უთარილო. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 ც.
141. ნ. ფინდეიზენის ღია ბარათი მელიტონ ბალანჩივაძისადმი წერს „საზოგადოება მუსიკის მოგობრების“ სარევიზიო კომისიის შეკრების შესახებ.  
უთარილო. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 ც.

## მოსაწვევი ბარათი

142. პირველი სრულიად რუსეთის მუსიკალური ინსტრუმენტების გამოფენის მოსაწვევი ბარათი.  
1906 წ. ხელნაწერის ასლი. რუსულ ენაზე. 1 ც.

## პროგრამები.

143. ტფილისის სახაზინო თეატრის პროგრამა მ. ბალანჩივაძის, ვ. სარაჯიშვილისა და ი. კარგარეთელის მონაწილეობით.  
1898 წ. 4 ივნისი. ტფილისი. რუსულ ენაზე. 1 ც.
144. ვარშავაში ჩატარებული ქართული კონცერტის პროგრამა მ. ბალანჩივაძის მონაწილეობით.  
1899 წ. 28 დეკემბერი. დასტამბული. რუსულ და პოლონურ ენებზე. 1 ც.
145. ქართველ ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ კიევში გამართული საღამოს პროგრამა მელიტონ ბალანჩივაძის მონაწილეობით. (შესრულდა მ. ბალანჩივაძის „სერენადა სოპრანოსა და ვიოლონჩელოსათვის“, მ. ბალანჩივაძის „შენ გეტრფი მარად“, ნაწყვეტები მ. ბალანჩივაძის ოპ. „თამარ ცბიერიდან“, მ. ბალანჩივაძის „აღმართ—აღმართ“. დირიჟორი: მ. ბალანჩივაძე).  
1899 წ. 28 დეკემბერი. დასტამბული. რუსულ და უკრაინულ ენებზე. 2 ც.
146. რიგაში გამართული კავკასიური საღამოს პროგრამა. (შესრულდა ინდროდუქცია მ. ბალანჩივაძის ოპ. „თამარ ცბიერიდან“, მ. ბალანჩივაძის რომანსი „შენ გეტრფი მარად“, მ. ბალანჩივაძის „სამშობლო ხევსურისა“. დირიჟორი — მ. ბალანჩივაძე).  
1901 წ. 27 ოქტომბერი. დასტამბული. რუსულ და გერმანულ ენებზე. 1 ც.
147. იურიევში ჩატარებული კონცერტის პროგრამა. (შესრულდა ნაწყვეტი მ. ბალანჩივაძის ოპ. „თამარ ცბიერიდან“, მ. ბალანჩივაძის „ტყემ მოისხა ფოთოლი“ და „სამშობლო ხევსურისა“).  
1901 წ. 27 ნოემბერი. დასტამბული. გერმანულ ენაზე. 1 ც.
148. პეტერბურგში გამართული ქართული საღამოს პროგრამა. (ქართული ნომრები დაწერილია მელიტონ ბალანჩივაძის მიერ).  
1904 წ. 10 დეკემბერი. დასტამბული. რუსულ ენაზე. 1 ც.

